



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 დეკემბერი 2023



N 724/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშის და მდ. კინკიშას მიმდებარე ტერიტორიაზე წელიწადში 149 650 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშისა და მდ. კინკიშას მიმდებარედ წელიწადში 149 650 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშისა და მდ. კინკიშას მიმდებარედ, შპს „ქობულეთის წყალის“ საკუთრებაში არსებულ 0,07 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 8-10 მეტრ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-731427.558, Y-4631779.043). წიაღისეულის მოპოვების ობიექტი წარმოდგენილია ერთი ჭაბურღილის (№2) სახით, რომელზეც მოწყობილია თავმორთულობა, მოპოვებული წყლის აღსარიცხად დამონტაჟებულია მრიცხველი და განთავსებულია დამცავი ჯიხური. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 144 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. კინტრიში მიედინება ჭაბურღილიდან დაახლოებით 60 მეტრში, ხოლო მდ. კინკიშა – დაახლოებით 90 მეტრში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სალიცენზიო ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში 149 650 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 5 წელი. შესაბამისად, ლიცენზიის ფარგლებში მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის საერთო მოცულობა შეადგენს 748 250 მ<sup>3</sup>-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჰიდროლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღისეულის მოპოვების ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნვეიან სისტემას, რომელიც მოიცავს აჭარა-იმერეთის ნაპრაღური წყლების წყალწნვეიან სისტემას. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოდგენილია ზედა მეოთხეულის ალუვიური და ზღვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტით, რომელიც ლითოლოგიურად აგებულია ლოდნარ-კენჭნარებით და ქვიშიან-კენჭნარიანი ნალექებით, სადაც შემავსებლად ითვლება ქვიშები, თიხნარიანი ქვიშები, თიხნარები და თიხები. ჰორიზონტის კვება ხდება ატმოსფერული ნალექებით და მდინარეების წყლებით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სართულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. ჭაბურღილის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქიმიური შედგენილობით ჰორიზონტის წყლები, ძირითადად, ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-ნატრიუმიანი, იშვიათად, ნატრიუმიან-კალციუმიანი ტიპისაა, ხოლო ტემპერატურა 12-15°C-ის ფარგლებში მერყეობს. მიწისქვეშა მტკნარი წყლის სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მისი სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია შესწავლილია საძიებო-დაზვერვითი და დაზვერვითი ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების სტადიაზე. წიაღისეულობის ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან წელიწადში 149 650 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან, ჭაბურღილი წარმოადგენს არსებულ ობიექტს, საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიის ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 149 650 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინტრიშის და მდ. კინკიშას მიმდებარე ტერიტორიაზე წელიწადში 149 650 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

